შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა

საბანკო პროდუქტებით მომსახურების ხელშეკრულების
დადების/დადასტურების შესახებ

თბილისი ----2016 წელი

ერთი მხრივ, სს ბანკი ქართუს --- სერვისცენტრი (ს.კ.204891652, ამ შეთანხმებაში მოხსენიებული, როგორც „ბანკი“), წარმოდგენილი სერვისცენტრის მენეჯერის -- --- სახით,
მეორე მხრივ, -------- (პ.ნ.----------, ამ შეთანხმებაში მოხსენიებული, როგორც „კლიენტი“), წინამდებარე საბანკო პროდუქტებით მომსახურების ხელშეკრულების დადების/დადასტურების შესახებ შეთანხმების (შემდეგში „შეთანხმება“/„აქტი“) საფუძველზე ვადასტურებთ და ვთანხმდებით შემდეგზე:

1. კლიენტი ადასტურებს, რომ სურს ისარგებლოს სს „ბანკი ქართუს“ საბანკო პროდუქტებით და მიიღოს სრული საბანკო მომსახურება;
2. კლიენტი ადასტურებს, რომ საბანკო პროდუქტებით მომსახურების ხელშეკრულების (შემდეგში „ჩარჩო-ხელშეკრულება“/„საბანკო პროდუქტებით მომსახურების ხელშეკრულება“) დადებამდე/საბანკო მომსახურების ხელშეკრულების გაფორმების შეთავაზებამდე/კლიენტის მიერ, არსებული საბანკო პროდუქტებით მომსახურების ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგადახდო მომსახურების მიღებამდე, ბანკმა კლიენტს, ქაღალდის მატარებლის (ბანკის შენობაში განთავსებული და კლიენტისთვის წარდგენილი ბუკლეტის, ბანერის, საბანკო პროდუქტებით მომსახურების ხელშეკრულების პროექტის ტექსტის) მეშვეობით და მხარეთა შეთანხმებით, ბანკის ვებ-გვერდის და ბანკის თანამშრომლის ზეპირსიტყვიერი განმარტების მეშვეობით, მიაწოდა:
(ა) მონაცემები ბანკის შესახებ: (ბანკის დასახელება, მისი სათაო ოფისის ოფიციალური და ფაქტობრივი მისამართი, ბანკის ელექტრონული ფოსტის მისამართი. ვებგვერდის მისამართი, სერვისცენტრების მისამართები, ბანკის რეგისტრაციის ნომერი);
(ბ) ინფორმაცია ბანკის ზედამხედველი ორგანოს შესახებ;
(გ) ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ბანკის საზედამხედველო ორგანო არც ერთ შემთხვევაში არ არის პასუხისმგებელი ბანკის მიერ ვალდებულებების არაჯეროვან შესრულებაზე;
(დ) ინფორმაცია საბანკო პროდუქტების და საგადახდო მომსახურების ძირითადი პირობების და მახასიათებელების შესახებ (რომელიც მოიცავს მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგი ინფორმაციით: კლიენტის მიერ საგადახდო დავალების შესრულებისათვის ბანკისათვის მისაწოდებელი აუცილებელი რეკვიზიტები; გადახდის ოპერაციის შესრულებისათვის საჭირო კლიენტის მიერ თანხმობის გაცემის ან თანხმობის გამოთხოვის ფორმა და პროცედურები; ბანკის მიერ საგადახდო დავალების მიღებისა და შესრულების დრო და ვადები; სახელშეკრულებო ურთიერთობის ენა/ენები; კლიენტისათვის ინფორმაციის მიწოდების ფორმა და სიხშირე და ა. შ);
(ე) ინფორმაცია მომსახურების ტარიფების/საკომისიოს/გაცვლითი კურსის შესახებ (ასეთი მომსახურების მიზნით საბანკო პროდუქტებით მომსახურების ხელშეკრულების გაფორმებისას);
(ვ) ინფორმაცია საკომუნიკაციო საშუალებების შესახებ;
(ზ) ინფორმაცია უსაფრთხოებას ღონისძიებებისა და არაავტორიზებული ან არასწორად შესრულებული ოპერაციის, ბანკის და კლიენტის პასუხისმგებლობის წესის და ფარგლების შესახებ;
(თ) ინფორმაცია ჩარჩო-ხელშეკრულების მოქმედების ვადის (ხანგრძლივობის), მასში ცვლილების შეტანის და მისი შეწყვეტის წესის შესახებ;
(ი) ინფორმაცია საგადახდო ინსტრუმენტების (ბარათები და სხვა) გამოყენებასთან დაკავშირებით კლიენტის ვალდებულებების შესახებ და მისი შეუსრულებლობის შედეგებზე;
(კ) ინფორმაცია დავების გადაწყვეტის შესახებ;
3. კლიენტი გაეცნო და ნებაყოფლობით დაეთანხმა ბანკის მიერ წინამდებარე აქტის მე-2 პუნქტში მითითებულ ინფორმაციას/მონაცემებს/პირობებს/წესებს/ჩარჩო-ხელშეკრულების პირობებს და თანახმაა ბანკთან დადოს საბანკო პროდუქტებით მომსახურების ხელშეკრულება (ჩარჩო-ხელშეკრულება)/მიიღოს არსებული საბანკო პროდუქტებით მომსახურების ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება. ხელშეკრულების სრული ტექსტი განთავსებულია ბანკის ვებ-გვერდზე - www.cartubank.ge და ბანკის (მისი სერვისცენტრ(ებ)ის) შენობაში;
4. კლიენტი კისრულობს ვალდებულებას ბანკის ვებ-გვერდის - www.cartubank.ge ან/და ბანკის (მისი სერვისცენტრ(ებ)ის) შენობებში განთავსებული დოკუმენტის (საბანკო პროდუქტებით მომსახურების ხელშეკრულების სტანდარტული ნიმუშის) მეშვეობით რეგულარულად, არანაკლებ თვეში ერთხელ, გაეცნოს საბანკო პროდუქტებით მომსახურების ხელშეკრულებაში შესულ ცვლილებებს/მომსახურების საფასურის ცვლილებას;
5. ბანკს უფლება აქვს ჩარჩო-ხელშეკრულების ტექსტში შეიტანოს ცვლილებები და დამატებები/შეცვალოს ნებისმიერი სახის საკომისიო/მომსახურების საფასური, მათ განხორციელებამდე/**ამოქმედებამდე** **1 (ერთი) თვით** ადრე ბანკის ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.cartubank.ge ან ბანკის (სერვისცენტრ(ებ)ის) შენობაში განთავსების გზით. შეტყობინება ასევე დასაშვებია წინამდებარე შეთანხმების მე-8 პუნქტით გათვალისწინებული რომელიმე ფორმით. კლიენტი უფლებამოსილია **1 (ერთი) თვის** გასვლამდე ნებისმიერ დროს შეწყვიტოს ჩარჩო-ხელშეკრულება და გადაუხადოს ბანკს ნებისმიერი სახის გადასახდელი/დავალიანება სრულად (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კლიენტს ბანკთან გაფორმებული სხვა ხელშეკრულების საფუძველზე, ამავე ხელშეკრულების

ბანკი **კლიენტი**

--- ---

ვადით გააჩნია მიმდინარე ანგარიშის შენარჩუნების ვალდებულება). წინააღმდეგ შემთხვევაში ჩარჩო-ხელშეკრულება მასში შეტანილ ცვლილებებთან ერთად ჩაითვლება კლიენტის მხრიდან მიღებულად და გაგრძელდება იმავე პირობებით;

6. ბანკს არ წარმოეშობა ამ აქტის მე-6 პუნქტებით გათვალისწინებული შეტყობინების/გამოქვეყნების ვალდებულება, როდესაც ხორციელდება მომსახურების საკომისიოს/მომსახურების საფასურის ოდენობის ცვლილება კლიენტის სასარგებლოდ, ასევე იმ ახალ მომსახურებაზე რომელიც არ ანაცვლებს და/ან არ ცვლის საბანკო პროდუქტებით მომსახურების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საგადახდო მომსახურებას (მომსახურებებს).
7. მხარეთა შორის ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. ბანკის მხრიდან, ოპერატიულობის მიზნით, დასაშვებია კლიენტისთვის შეტყობინების მიწოდება ინტერნეტ-ბანკის, მობილური ტელეფონის/სხვა მოწყობილობის მეშვეობით გადაცემული/მიღებული სმს შეტყობინების, ფაქსის, ელექტრონული ფოსტის, დისტანციური, ბანკის (სერვისცენტრ(ებ)ის) შენობაში განთავსების ან ბანკის მიერ შერჩეული სხვა ოპერატიული საშუალებით გზავნილის გზით, იმ პირობით რომ, კლიენტის მოთხოვნის შემთხვევაში, ამგვარი მოთხოვნიდან გონივრულ ვადაში მას წარედგინება შეტყობინების წერილობითი ფორმაც.
8. მხარეთა შორის წარმოშობილი ნებისმიერი დავა გადაწყდება მოლაპარაკების გზით, შეუთანხმებლობის შემთხვევაში სადავო საკითხი წყდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, საქართველოს საერთო სასამართლოების მეშვეობით. ამასთან, ბანკი უფლებამოსილია პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ, ბანკის სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილება მიაქციოს დაუყოვნებლივ აღსასრულებლად სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამისად;
9. წინამდებარე შეთანხმებაზე ხელმოწერით კლიენტი უერთდება საბანკო პროდუქტებით მომსახურების ხელშეკრულებას (რომელიც მოიცავს წინამდებარე აქტის ხელმოწერის თარიღისათვის შეტანილ ყველა ცვლილებასა და დამატებას) და მისი პირობები კლიენტისათვის იძენენ სავალდებულო ძალას. საბანკო პროდუქტებით მომსახურების ხელშეკრულების სტანდარტული ტექსტი წარმოადგენს ამ შეთანხმების განუყოფელ ნაწილს;
10. კლიენტი ასევე ანიჭებს ბანკს უპირობო უფლებამოსილებას, ნებისმიერ დროს გაეცნოს მის (კლიენტის) შესახებ არსებულ ნებისმიერი სახის პერსონალურ ინფორმაციას (მონაცემები, ჩანაწერები ან/და საბუთები) ნებისმიერ ადმინისტრაციულ ორგანოში. ამასთან, კლიენტი თანახმაა, ბანკმა მიიღოს სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონული ბაზიდან ბანკისთვის აუცილებელი კლიენტის პერსონალური მონაცემები, საჭირო მოცულობით, კანონმდებლობით დადგენილი წესით, ჩარჩო-ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნითა და ამ მიზნის განსახორციელებლად;
11. ბანკი უფლებამოსილია, კლიენტის დამატებითი თანხმობის გარეშე, წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი შეზღუდვის მიუხედავად, მასზე არსებული ნებისმიერი ინფორმაცია გადასცეს საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს, მათ შორის სს „კრედიტინფო საქართველოს“ (ს.კ. 204470740), ამ ბიუროს მიერ დადგენილი წესების შესაბამისად, რის შედეგადაც კლიენტი აღირიცხება საკრედიტო ბიუროს მონაცემთა ბაზაში. გადასაცემი ინფორმაცია შეიძლება მოიცავდეს: კლიენტის საიდენტიფიკაციო მონაცემებს, დავალიანების ნაშთს, სასამართლო და სააღსრულებო წარმოების მიმდინარეობასა და შედეგებს და კლიენტის ვალდებულებებთან დაკავშირებულ სხვ. ინფორმაციას. ამასთან, კლიენტი თანახმაა, ბანკმა მასზე არსებული ნებისმიერი ინფორმაცია ნებისმიერ დროს მიიღოს საკრედიტო საინფორმაციო ბიუროდან, მოვალეთა რეესტრიდან ან/და ყველა საჯარო ან/და სპეციალური საძიებო მონაცემთა ბაზებიდან, რომლებთანაც ბანკს გააჩნია საჯარო ან/და სპეციალური წვდომა;
12. კლიენტი აცხადებს თანხმობას მის შესახებ ბანკში არსებული კონფიდენციალური ინფორმაცია, მათ შორის პერსონალური მონაცემები, ბანკმა გადასცეს ბანკის მიერ შერჩეულ მხოლოდ იმ მესამე პირს, რომელთანაც ბანკს გაფორმებული ექნება ხელშეკრულება კონფიდენციალობის დაცვის შესახებ და, თუ აღნიშნული მესამე პირი უზრუნველყოფს კლიენტის პერსონალური მონაცემების სათანადო დაცვას, ასევე კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში შესაბამის უფლებამოსილ პირს.
13. კლიენტი, თანახმაა მოკლე ტექსტური შეტყობინების ან/და ელ.ფოსტის მეშვეობით მიიღოს ნებისმიერი მათ შორის სარეკლამო ხასიათის ინფორმაცია. კლიენტი ვალდებულია იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში აღარ ექნება სურვილი ინფორმაციის მიღების, წერილობით აცნობოს ბანკს და მოითხოვოს აღნიშნულის შეწყვეტა;
14. კლიენტი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს ბანკს, მის მიერ წარდგენილ დოკუმენტებსა და ბანკისთვის მიწოდებულ ინფორმაციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ, მათ შორის საკონტაქტო მონაცემების (იურიდიული/ფაქტობრივი მისამართი, ტელეფონის ნომერი, ელექტრონული ფოსტა და სხვ.) შეცვლის შესახებ; ასევე იქონიოს კომუნიკაციისთვის აუცილებელი მოწყობილობები და ქსელი (მათ შორის მობილური ტელეფონი, კომპიუტერი, ინტერნეტი) გამართულ/ჩართულ მდგომარეობაში. წინააღმდეგ შემთხვევაში ბანკი არ აგებს პასუხს ამით გამოწვეულ შედეგებზე/ზიანზე;
15. კლიენტი ადასტურებს, რომ წინამდებარე შეთანხმების გაფორმებამდე და მისი გაფორმებისას, მისთვის ხელმისაწვდომი იყო საბანკო პროდუქტებით მომსახურების სტანდარტული ხელშეკრულების ტექსტი, ასევე საბანკო მომსახურების საკომისიო/საფასური, როგორც ქაღალდზე დაბეჭდილი სახით, რომელიც ბანკის (მისი სერვისცენტრ(ებ)ის) შენობაშია განთავსებული, ასევე ელექტრონული ფორმით, რომელიც განთავსებულია ბანკის ვებ-გვერდზე: www.cartubank.ge; კლიენტი ადასტურებს, რომ წინამდებარე შეთანხმებაზე ხელმოწერისთანავე მან მიიღო საბანკო პროდუქტებით მომსახურების სტანდარტული ხელშეკრულება ქაღალდზე დაბეჭდილი სახით.
16. მხარეთა შეთანხმებით, კლიენტის მიერ წინამდებარე შეთანხმებაზე ხელმოწერა გულისხმობს ბანკის ვებ-გვერდზე/ბანკის (მისი სერვისცენტრ(ებ)ის) შენობაში განთავსებული საბანკო პროდუქტებით მომსახურების სტანდარტული ხელშეკრულების ყველა გვერდზე ხელმოწერას და ამ ხელშეკრულების ყველა პირობებზე დათანხმებას ისე, რომ კლიენტი ხელს არ აწერეს საბანკო პროდუქტებით მომსახურების სტანდარტულ ხელშეკრულებას.

ბანკი	კლიენტი
---	---